ა კ ა კ ი ს

ნათქვამი აკაკის საფლავთან, მთაწმინდაზე
საზეიმო მიტინგზე. 1940 წ. 16 ივნისს.

შენ მოგვიზომე სამშობლო
შენი ჩანგურის სიმებით;
შენ გვიანდერძე სამშობლო
და მისი დახსნის იმედი.
გული გაცვითე სიმღერით
და ლექსი ქართლის დიდებით;
ბნელს გვილამპრავდი ჭაღარით
და ცრემლის მარგალიტებით.

მომავლის მზესთან ადიდე
მიწაში მყოფი გმირები, –
მათი აკლდამის ნათელი,
მათი საფლავის დირენი.

დღე– ღამის სიგრძე– სიმოკლემ,
გზა გასჭრა – სავსე ეკლითა;
დღეს ჩვენს ჩანგებზე, პოეტო,
მზის სხივი გადმოგვეკიდა.

შენც ჩვენთან მღერი, ზეზე ხარ,
გსურს, რომ ახალ მზეს უყურო, –
დიდი მთაწმინდის სიწმინდევ,
გადაღმერთილო, უღრუბლოვ, –
დანაცრებულო, დამწვარო,
დაბერებულო ბულბულო!